რედაქციისაგან

როზეტა ასათიანი

თანამედროვეობის გამორჩეული მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს 220-მდე მეცნიერული ნაშრომი. მრავალი სტატიის ავტორია ქართულ ენციკლოპედიაში, მთავარი რედაქტორი და თანაავტორია პირველი ქართული სახელმძღვანელოსი ეკონომიკურ თეორიაში (1998),

45 ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორია.

ძირითადი ნაშრომები: „მომსახურება და საბაზრო სისტემა“ (1993); „ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი“ (1996); „ფული და ფულადი სისტემები“ (2000); „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს“ (2005); „ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი“ - V კლასი (2005); „ეკონომიკა“ - VI კლასი (2006); „ეკონომიკა“ - VII კლასი (2007); „ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება“ (2008); „საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა“ (2009); „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ (2010); „ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი“ (2011); „ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აღდგენის აუცილებლობა უნივერსიტეტებში (საკითხის დასმის წესით)“ (2013); „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ (2014); „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ (2015); „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი“ (2016); „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“ (I საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო საქართველოში – 2017) და ა.შ.

ჯილდოები: ოქროს მედალი წარჩინებული სწავლისათვის (1957); საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების სამეცნიერო პრემია (1988); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო პრემია (1994); ღირსების ორდენი (1999); საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო პრემია 2008 წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის (2009); პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია და ლაურეატის დიპლომი (2013); საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის (2014); ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ხანგრძლივი, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის (2014); საპატიო დიპლომი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის (2014); რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვერნადსკის სახელობის ოქროს მედალი (2017); იუნესკოს მიერ დაწესებული მეცნიერის წოდება და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი ეკონომიკის დარგში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის (2017).